



შპს გ.დ ჯგუფი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

შპს „გდ ჯგუფი“-ს
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

შპს „გდ ჯგუფი“-ს
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 4

ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 5

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 6

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 7

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება..... 8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 9

შპს „გდ ჯგუფი“-ს
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „გდ ჯგუფის“-ს, (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- ✓ მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- ✓ გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- ✓ განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული მსს ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- ✓ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ✓ კომპანიის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ✓ ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს;
- ✓ სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ✓ კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- ✓ თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2019 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი

ლევან ლანდია



მთავარი ბუღალტერი

დენის ბოსიკოვი



შპს „გდ ჯგუფი“-ს
 სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

**მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის
 მდგომარეობით**

	შენიშვნა	2018
შემოსავალი	14	2 242 086
რეალიზებული საქონლის და გაწეული მომსახურების თვითღირებულება	15	(1 395 581)
საერთო მოგება		846 505
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(548 197)
სხვა წმინდა საოპერაციო ხარჯები	17	(30 256)
საოპერაციო მოგება		268 052
კურსთაშორის სხვაობით მიღებული შემოსავალი	19	3 971
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	18	(4 584)
მოგება დაბეგვრამდე		267 438
მოგების გადასახადი	11	-
წმინდა მოგება		267 438
სხვა სრული შემოსავლები წლის განმავლობაში		-
სულ სრული შემოსავლები წლის განმავლობაში		267 438

დირექტორი

ლევან ლანდია

მთავარი ბუღალტერი

დენის ბოსიკოვი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	2018	2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	59 516	81 098
არამატერიალური აქტივები	8	517	717
სულ გრძელვადიანი აქტივები		60 033	81 815
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	11 993	475
დებიტორული დავალიანება	4	800 082	860 133
მოკლევადიანი სესხები	12	227 471	-
საგადასახადო აქტივი	5	-	1 822
სხვა აქტივები	9	9 056	23 754
ფული და ფულის ექვივალენტები	3	1 434	48 440
სულ მიმდინარე აქტივები		1 050 035	934 623
სულ აქტივები		1 110 068	1 016 438
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	50 000	50 000
გაუნაწილებელი მოგება		731 368	463 930
სულ კაპიტალი		781 368	513 930
გრძელვადიანი ვალდებულებები			
---		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	322 247	502 508
საგადასახადო ვალდებულებები	5	6 452	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		328 700	502 508
სულ ვალდებულებები		328 700	502 508
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1 110 068	1 016 438

დირექტორი

ლევან ლანდია

მთავარი ბუღალტერი

დენის ბოსიკოვი



შპს „გდ ჯგუფი“-ს
 სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	სულ კაპიტალი
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	10	50 000	463 930	513 930
კორექტირება		-	-	-
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	10	50 000	463 930	513 930
წლის მოგება		-	267 438	267 438
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		-	267 438	267 438
2018 წლის 31 დეკემბრის	10	50 000	731 368	781 368


დირექტორი

ლევან ლანდია



მთავარი ბუღალტერი

დენის ბოსიკოვი




ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება დაბეგვრამდე		267 438
<i>კორექტირებები:</i>		
ცვეთა და ამორტიზაცია	7,8	26 539
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	19	(3 971)
მოგება ძირითადი საშუალებების გასხვისებიდან	17	(2 119)
საპროცენტო შემოსავალი	17	(1 471)
<i>ცვლილება მიმდინარე აქტივებსა და ვალდებულებებში:</i>		
მარაგების შემცირება (ზრდა)	6	(11 518)
სხვა აქტივების შემცირება (ზრდა)	9	14 699
დებიტორული დავალიანების შემცირება (ზრდა)	4	63 518
საგადასახადო აქტივების შემცირება (ზრდა)	5	8 274
კრედიტორული დავალიანების შემცირება (ზრდა)	13	(189 586)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		171 803
გადახდილი მოგების გადასახადი		-
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		171 803
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	17	2 119
ძირითადი საშუალებების შეძენა	7	(4 757)
არამატერიალური აქტივების შეძენა	8	-
მიღებული პროცენტი		-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(2 638)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
დამფუძნებლის მიერ განხორციელებული შენატანი		-
გაცემული დივიდენდი		-
შემოსულობები გასესხებული თანხებიდან		-
გასესხებული თანხების გასვლა	12	(226 000)
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები		(226 000)
სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		9 829
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		(56 835)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		1 434

დირექტორი

ლევან ლანდია



მთავარი ბუღალტერი

დენის ბოსიკოვი



შპს „გდ ჯგუფი“-ს
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	2018
შემოსავალი	14	2 242 086
რეალიზებული საქონლის და გაწეული მომსახურების თვითღირებულება	15	(1 395 581)
საერთო მოგება		846 505
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(548 197)
სხვა წმინდა საოპერაციო ხარჯები	17	(30 256)
საოპერაციო მოგება		268 052
კურსთაშორის სხვაობით მიღებული შემოსავალი	19	3 971
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	18	(4 584)
მოგება დაბეგვრამდე		267 438
მოგების გადასახადი	11	-
წმინდა მოგება		267 438
სხვა სრული შემოსავლები წლის განმავლობაში		-
სულ სრული შემოსავლები წლის განმავლობაში		267 438

დირექტორი ლევან ლანდია

მთავარი ბუღალტერი _____ დენის ბოსიკოვი _____

შპს „გდ ჯგუფი“-ს
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	2018	2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	59 516	81 098
არამატერიალური აქტივები	8	517	717
სულ გრძელვადიანი აქტივები		60 033	81 815
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	11 993	475
დებიტორული დავალიანება	4	800 082	860 133
მოკლევადიანი სესხები	12	227 471	-
საგადასახადო აქტივი	5	-	1 822
სხვა აქტივები	9	9 056	23 754
ფული და ფულის ექვივალენტები	3	1 434	48 440
სულ მიმდინარე აქტივები		1 050 035	934 623
სულ აქტივები		1 110 068	1 016 438
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	50 000	50 000
გაუნაწილებელი მოგება		731 368	463 930
სულ კაპიტალი		781 368	513 930
გრძელვადიანი ვალდებულებები			
---		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	322 247	502 508
საგადასახადო ვალდებულებები	5	6 452	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		328 700	502 508
სულ ვალდებულებები		328 700	502 508
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1 110 068	1 016 438

დირექტორი ლევან ლანდია _____

მთავარი ბუღალტერი დენის ბოსიკოვი _____

შპს „გდ ჯგუფი“-ს
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	სულ კაპიტალი
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	10	50 000	463 930	513 930
კორექტირება		-	-	-
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	10	50 000	463 930	513 930
წლის მოგება		-	267 438	267 438
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		-	267 438	267 438
2018 წლის 31 დეკემბრის	10	50 000	731 368	781 368

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი დენის ზოსიკოვი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება დაბეგვრამდე		267 438
<i>კორექტირებები:</i>		
ცვეთა და ამორტიზაცია	7,8	26 539
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	19	(3 971)
მოგება ძირითადი საშუალებების გასხვისებიდან	17	(2 119)
საპროცენტო შემოსავალი	17	(1 471)
<i>ცვლილება მიმდინარე აქტივებსა და ვალდებულებებში:</i>		
მარაგების შემცირება (ზრდა)	6	(11 518)
სხვა აქტივების შემცირება (ზრდა)	9	14 699
დებიტორული დავალიანების შემცირება (ზრდა)	4	63 518
საგადასახადო აქტივების შემცირება (ზრდა)	5	8 274
კრედიტორული დავალიანების შემცირება (ზრდა)	13	(189 586)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		171 803
გადახდილი მოგების გადასახადი		-
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		171 803
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	17	2 119
ძირითადი საშუალებების შეძენა	7	(4 757)
არამატერიალური აქტივების შეძენა	8	-
მიღებული პროცენტი		-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(2 638)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
დამფუძნებლის მიერ განხორციელებული შენატანი		-
გაცემული დივიდენდი		-
შემოსულობები გასესხებული თანხებიდან		-
გასესხებული თანხების გასვლა	12	(226 000)
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები		(226 000)
სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		9 829
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		(56 835)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		1 434

დირექტორი ლევან ლანდია _____

მთავარი ბუღალტერი დენის ბოსიკოვი _____

შპს „გდ ჯგუფი“-ს
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „გ.დ. ჯგუფი“ (შემდგომში კომპანია) - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საიდენტიფიკაციო ნომრით: 202405432, იურიდიულ პირად დარეგისტრირდა საქართველოში 2007 წლის 12 აგვისტოს. კომპანიის იურიდიული მისამართი არის: გიორგი მდივანის ქუჩა, N3ა. კომპანიის დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელია შპს „არევაკო ინვესტმენტ ლიმიტედ“, კვიპროსი (ნომრით: HE356394).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- საბაჟო საწყობში სხვისი ტვირთის მიზარება-გაცემა და საბაჟო კონტროლის ქვეშ სხვისი ტვირთის შენახვა
- საბითუმო ვაჭრობა ალკოჰოლიანი სასმელებით

კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2018 წლის განმავლობაში შეადგენდა - 23 ადამიანს, (2017 - 51 ადამიანს). 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ორგანიზაციის თანამშრომლების რიცხვი შეადგენდა 24 ადამიანს (2017 - 23 ადამიანს).

კომპანიას გააჩნია საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვა და 2018 წლის განმავლობაში ოპერირებდა ერთ საბაჟო საწყობში მდებარე: ქ.თბილისი მოსკოვის გამზ. N25, საწყობის დანიშნულების კოდი GEO98, საწყობის კოდი WHS202405432A;

2017 წლის განმავლობაში ოპერირებდა ორ საბაჟო საწყობში 1) მდებარე ქ.თბილისი მოსკოვის გამზ. N31ბ, საწყობის დანიშნულების კოდი GED01, საწყობის კოდი WHS202405432 და 2) საბაჟო საწყობი მდებარე: ქ.თბილისი მოსკოვის გამზ. N25, საწყობი დანიშნულების კოდი GEO98, საწყობის კოდი WHS202405432A;

კომპანიის ოპერატიული მართვის ადგილი არის ოფისი მდებარე: ქ.თბილისი მიხეილ ჯავახიშვილს ქ. N12, ბ.4

2. ანგარიშის მომზადების ძირითადი დებულებები და საფუძველი

განცხადება შესაბამისობის თაობაზე. წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მხოლოდ მენეჯმენტისათვის 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის. იმისათვის რომ კომპანიის მენეჯმენტს გაუწიოს დახმარება კომპანიას ფინანსური ანგარიშგების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის საერთაშორისო სტანდარტზე (მსს ფასს) გადასვლაში, და კომპანიის მიერ მსს ფასს სტანდარტების მიღების ფარგლებში, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის 35-ე განყოფილების „მსს ფასს-ზე გადასვლა“ მოთხოვნების შესაბამისად. ეს სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს გადასვლის თარიღამდე პერიოდების შესადარის ინფორმაციას. მიუხედავად იმისა, რომ მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის სპეციალური ფინანსური ანგარიშგება დაფუძნებულია მენეჯმენტის მიერ სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო ცოდნაზე იგი შეიძლება შეიცვალოს. მაგალითად, სააღრიცხვო სტანდარტების სერთაშორისო საბჭოს მიერ გამოშვებული დამატებების და ინტერპრეტაციებში ცვლილების შესაბამისად. აქედან გამომდინარე სანამ კომპანია არ წარადგენს 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის პირველ მსს ფასს სტანდარტების სრულ შესაბამისობაში მყოფ ფინანსურ ანგარიშგებას წარმოდგენილი ინფორმაციის ცვლილების შესაძლებლობა ვერ გამოირიცხება.

2.1. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. ქვემოთ მოცემულია ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენებოდა ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის

ფასს სტანდარტების შესაბამისად სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას. მოითხოვება ასევე ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. საკითხები, რომელთა მიმართ შედარებით მაღალი დონის განსჯის გამოყენებაა საჭირო, რთულია ან სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოითხოვს, გამჟღავნებულია მე-2.4 შენიშვნაში.

მსს ფასს სტანდარტების პირველად შემოღება. წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. კომპანიას ზოგადად არ მოელოა, რომ მსს ფასს სტანდარტების 35.11 პუნქტის ფარგლებში განსახორციელებელი რომელიმე შესწორება არაპრაქტიკული იქნება კომპანიისთვის.

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სამუშაო ვალუტა. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, სადაც საწარმო ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი (“GEL”). ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. შემოსავალისა და ხარჯის ურთიერთგადაფარვა არ ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ეს არ მოითხოვება ან ნებადართული არ არის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტით ან ინტერპრეტაციით და კონკრეტულად გამჟღავნებული არ არის კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ განმარტებით შენიშვნებში.

ამონაგების აღიარება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით.

საქონლის გაყიდვა. საქონლის რალიზაციიდან მიღებული ამონაგები აღიარდება საქონლის მიწოდებისას და საკუთრების უფლების გადაცემისას, როდესაც დაკმაყოფილებულია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანია არ ინარჩუნებს გაყიდული საქონლის საკუთრებასთან ასოცირებულ მენეჯერული ჩართულობის დონეს და არც ეფექტურ კონტროლს;
- ამონაგების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია;
- მოსალოდნელია, რომ საქონლის გადაცემასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა;

- შესაძლებელია საქონლის გადაცემასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

უცხოური ვალუტა. ოპერაციები აღირიცხება ოპერაციების განხორციელების თარიღით არსებული სავალუტო კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები თითოეული საანგარიშგებო თარიღით გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღით არსებული სავალუტო კურსით. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში.

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ფიციალური გაცვლითი კურსი		
	USD	EUR	GBP
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.6766	3.0701	3.3955
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.5922	3.1044	3.5005
2018 წლის საშუალო გაცვლითი კურსი	2.5345	3.3812	2.9913

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98¹-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღირიცხვა უნდა გახორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

ოფისის აღჭურვილობა	2 – 5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	5 წელი

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი სასრული მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები აისახება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ამორტიზაციით და დაგროვილი გაუფასურების ზარალით. ამორტიზაცია წრფივი მეთოდით აღიარდება მომსახურების ვადის განმავლობაში. შეფასებული მომსახურების ვადა და ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება, ხოლო შეფასების ცვლილების ნებისმიერი გავლენა პერსპექტიულად აისახება. არამატერიალური აქტივებისთვის გამოიყენება 15%-იანი ამორტიზაციის განაკვეთი, წრფივი მეთოდით.

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასვლისას, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება მისი გამოყენების ან გასვლისგან. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობები ან ზარალი, რაც განისაზღვრება, როგორც სხვაობა გასვლის წმინდა ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, მოგება-ზარალში აღიარდება აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმოიხილავს თავისი მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას, რათა განსაზღვროს არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში შეფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება, რათა განისაზღვროს გაუფასურების ზარალი (თუ ასეთი არსებობს). როდესაც შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც მიეკუთვნება ეს აქტივი. როდესაც შესაძლებელია განაწილების დასაბუთებადი და თანმიმდევრული საფუძვლის იდენტიფიცირება, კორპორაციული აქტივებიც ინდივიდუალურ ფულადი სახსრების წარმომქნელ ერთეულებზე განაწილდება, სხვა შემთხვევაში ისინი მიეკუთვნება უმცირეს ფულადი

სახსრების წარმომქნელ ერთეულს, რომლისთვისაც შესაძლებელი იქნება განაწილების დასაბუთებული და თანმიმდევრული საფუძვლის ინდეტიფიცირება.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შეფასებისას სამომავლო ფულადი ნაკადები დისკონტირდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებსა და იმ აქტივისთვის სპეციფიკურ რისკებს, რომლის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასება შესწორებული არ არის.

თუ განისაზღვრება, რომ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი მაშინვე მოგება-ზარალში აღიარდება.

მარაგი

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

თვითღირებულება გამოითვლება FIFO მეთოდის გამოყენებით დამხმარე მასალებისათვის და ინდივიდუალური აღრიცხვის მეთოდი - გადასაყიდად შეძენილი საქონლისათვის. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება შეფასებული გასაყიდი ფასით, გამოკლებული დასრულების შეფასებული დანახარჯები და გაყიდვისთვის აუცილებელი დანახარჯები.

ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება, როდესაც კომპანიას ექნება მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული) წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად და მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება მოვალეობის ანგარიშსწორება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ანარიცხის სახით აღიარებული თანხა არის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმდინარე მოვალეობის ანგარიშსწორების საუკეთესო შეფასება, ამ მოვალეობასთან დაკავშირებული რისკებისა და განუსაზღვრელობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხის შეფასება ხდება მიმდინარე მოვალეობის ანგარიშსწორებისთვის საჭირო ფულადი ნაკადების შეფასებით, მისი საბალანსო ღირებულებაა ამ ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

როდესაც მოსალოდნელია, რომ ანარიცხის ანგარიშსწორებისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებელი მთლიანად ან ნაწილობრივ ამოიღება მესამე მხარისგან, მაშინ დებიტორული დავალიანება აღიარდება აქტივის სახით, როდესაც გარდუვალია ანაზღაურების მიღება და შესაძლებელია დებიტორული დავალიანების საიმედოდ შეფასება.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, ის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში აისახება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გასვლის ალბათობა უმნიშვნელოა. პირობითი აქტივები ფინანსური

მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, ის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში აისახება, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება, როდესაც კომპანია ამ ინსტრუმენტების ხელშეკრულების მხარე ხდება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად რეალური ღირებულებით ფასდება. ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების (გარდა მოგება-ზარალის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა) შეძენაზე ან გამოშვებაზე პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები დაემატება ან გამოაკლდება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებას, საჭიროებისამებრ, თავდაპირველი აღიარებისას. მოგება-ზარალის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შეძენაზე პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები მაშინვე აღიარდება მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები შემდეგ სამ კატეგორიად იყოფა: მოგება-ზარალის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებული (FVPL), დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, გასაყიდად გამოიწვლილი (AFS) ფინანსური აქტივები და სესხები და მოთხოვნები. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივების ხასიათსა და დანიშნულებაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივებია ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ხორციელდება ფულადი სახსრების შეფასებული სამომავლო მიღების (მათ შორის გადახდილი ან მიღებული საზღაური და გადახდები, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია, გარიგების დანახარჯები და სხვა პრემია ან ფასდაკლებები) ზუსტად დისკონტირება სავალო ინსტრუმენტის მომსახურების ვადის განმავლობაში, ან, საჭიროებისამებრ, უფრო ხანმოკლე პერიოდში, თავდაპირველად აღიარებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. სავალო ინსტრუმენტებისთვის შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მიმდინარე ანგარიშებზე ბანკებში.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება, რომელსაც პროცენტი არ ერიცხება, ნომინალური ღირებულებით აისახება. შეფასებული შეუქცევადი თანხების სათანადო ანარიცხები მოგება-ზარალში აღიარდება

მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება არსებობს. აღიარებული ანარიცხები შეფასდება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადების თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებას შორის.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურებაზე შეფასება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად მიიჩნევა, როდესაც ობიექტური მტკიცებულება არსებობს, რომ ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ მომხდარი ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად შეიცვალა ინვესტიციის შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადები.

ყველა სხვა ფინანსური აქტივების შემთხვევაში გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- გამომშვების ან პარტნიორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები; ან
- კონტრაქტის პირობების დარღვევა, როგორცაა მაგალითად დეფოლტი ან პროცენტის/მრითადი თანხის გადაუხდელობა; ან
- მოსალოდნელია, რომ მსესხებელი გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის რეჟიმში გადავა; ან
- ფინანსური სირთულეების გამო ამ ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაქრობა.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, აღიარებული გაუფასურების ზარალის ოდენობა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ სამომავლო ფულად ნაკადებს შორის.

თვითღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მსგავსი ფინანსური აქტივის მიმდინარე საბაზრო განაკვეთით დისკონტირებულ სამომავლო ფულად ნაკადებს შორის. მსგავსი გაუფასურების ზარალი შემდეგ პერიოდებში არ ანულირდება.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება გაუფასურების ზარალით პირდაპირ მცირდება ყველა ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გამონაკლისია სავაჭრო დებიტორული დავალიანება, როდესაც საბალანსო ღირებულება მცირდება ანარიცხის ანგარიშის მეშვეობით. როდესაც მიიჩნევა, რომ სავაჭრო დებიტორული დავალიანება ამოუღებელია, ის ანარიცხის ანგარიშის საპირისპიროდ ჩამოიწერება. ადრე ჩამოწერილი თანხების შემდეგში აღდგენა დაკრედიტდება ანარიცხის ანგარიშზე. ანარიცხის ანგარიშის საბალანსო ღირებულების ცვლილებები მოგება-ზარალში აღიარდება.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, როდესაც შემდეგ პერიოდში გაუფასურების ზარალის ოდენობა შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად იქნეს დაკავშირებული გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენასთან, ადრე აღიარებული

გაუფასურების ზარალი ანულირდება მოგება-ზარალის მეშვეობით, ისე რომ, გაუფასურების ანულირების თარიღით ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს ამორტიზებულ ღირებულებას, რომელიც მიიღებოდა გაუფასურების ზარალი რომ არ აღიარებულიყო.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს, როდესაც აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლების ვადა ამოიწურება ან როდესაც ფინანსურ აქტივსა და მის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს. თუ კომპანია საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს არც გადასცემს და არც შეინარჩუნებს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, მაშინ კომპანია აღიარებს აქტივში შენარჩუნებულ წილს და დაკავშირებულ ვალდებულებას თანხებზე, რომლის გადახდაც შეიძლება მოუწიოს. თუ კომპანია გადაცემული ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს ინარჩუნებს, კომპანია აგრძელებს ამ ფინანსური აქტივის აღიარებას და ასევე აღიარებს მიღებული შემოსავლისთვის უზრუნველყოფილ ნასესხებ სახსრებს.

მთლიანად ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მიღებულ და მისაღებ კომპენსაციის თანხას და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ დაგროვილ შემოსულობას ან ზარალს (რომელიც კაპიტალშია დაგროვილი) შორის სხვაობა მოგება-ზარალში აღიარდება.

ფინანსური აქტივის ნაწილის აღიარების შეწყვეტისას (მაგ., როდესაც კომპანია ინარჩუნებს გადაცემული აქტივის ნაწილის უკუშესყიდვის ოფციონს) კომპანია ამ ფინანსური აქტივის ადრინდელ საბალანსო ღირებულებას ანაწილებს იმ ნაწილს, რომლის აღიარებასაც აგრძელებს ჩართულობის გამო და იმ ნაწილს, რომელსაც აღარ აღიარებს, შორის, გადაცემის თარიღით ამ ნაწილების ფარდობითი რეალური ღირებულებების საფუძველზე. სხვაობა იმ ნაწილის საბალანსო ღირებულებას, რომელსაც აღარ აღიარებს, და ამ ნაწილისთვის მიღებულ კომპენსაციასა და მასზე განაწილებულ, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ დაგროვილ შემოსულობას ან ზარალს შორის, აღიარდება მოგება-ზარალში. კომპლაციური შემოსულობა ან ზარალი, რომელიც აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში, აღიარებულ ნაწილსა და იმ ნაწილს შორის, რომელიც აღარ არის აღიარებული, გადანაწილდება ამ ნაწილების ფარდობითი რეალური ღირებულებების საფუძველზე.

ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები

ვალის ან საკუთარი კაპიტალის სახით კლასიფიკაცია

კომპანიის მიერ გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები კლასიფიცირებულია ფინანსურ ვალდებულებებად ან საკუთარ კაპიტალად, სახელშეკრულებო შეთანხმებების არსისა და ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტის განმარტებების შესაბამისად.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც არის საწარმოს აქტივებში, ვალდებულებების გამოქვითვის შემდეგ, ნარჩენი წილის მტკიცებულება. კომპანიის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება მიღებული თანხის ოდენობით, შემცირებული გამოშვების პირდაპირი დანახარჯებით.

კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების უკუშესყიდვა აღიარდება უშუალოდ კაპიტალში და კაპიტალიდან გამოიქვითება. კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების შესყიდვის, გაყიდვის, გამოშვების ან გაუქმებისას წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი არ აღიარდება მოგება-ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები (წარმოდგენილი ნასესხები თანხების, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებებისა და გადასახდელი დივიდენდების სახით) შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მეშვეობით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიის მოვალეობები შესრულებულია, გაუქმებულია ან ვადაგასულია. აღიარება შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ კომპენსაციას შორის სხვაობა მოგება-ზარალში აღიარდება.

საწესდებო კაპიტალი

კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილებით, რომელიც აღიარდება სამართლიანი ღირებულებით შეტანის მომენტისთვის.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

გადახდილი საგადასახადო ავანსი და გადასახდელი გადასახადები

გადახდილი საგადასახადო ავანსი აისახება ნომინალური ღირებულებით, შემცირებული ამოუღებელი თანხის ანარიცხით. გადასახდელი გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აისახება ნომინალური ღირებულებით.

მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსი

მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსი აისახება თვითღირებულებით, შემცირებული ამოუღებელი თანხების ანარიცხით.

2.4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და განსუაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

მე-2.2 შენიშვნაში აღწერილი კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას დირექტორებს მოეთხოვებათ განსჯის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთა ღირებულება გარკვევით ვერ მიიღება სხვა წყაროებიდან. შეფასებები და დაკავშირებული დაშვებები ემყარება წარსულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც მიიჩნევა, რომ შესაფერისია. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

აღნიშნული შეფასებებისა და საბაზისო დაშვებების შესწორება მუდმივად ხდება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შესწორდა შეფასება, თუ ცვლილება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ პერიოდზე ან შესწორების პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ ცვლილება გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

დაბეგვრა

ქართული საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და შეიძლება მან ცვლილებები განიცადოს. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, რის გამოც კომპანიას შეიძლება დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის თანხა დაეკისროს. კომპანიას დარწმუნებულია, რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შეუქმნია. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია, მსგავს აქტივებთან დაკავშირებული მათი გამოცდილების საფუძველზე. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

საექვო ვალების ანარიცხები

კომპანია საექვო ვალების ანარიცხებს ქმნის, რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საექვო ვალების ანარიცხების ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი შეფასების საფუძველად იყენებს საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას, მომხმარებლის კრედიტუნარიანობასა და გადახდის პირობების ცვლილებებს. ეკონომიკაში, დარგში ან კონკრეტული მომხმარებლის გარემოებების ცვლილებებმა შეიძლება განაპირობოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საექვო ვალების ანარიცხების ცვლილება.

3 ფული და ფულის ექვივალენტები

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია ფულისა და ფულის ექვივალენტების შესახებ 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრისთვის:

	31-დეკ-2018	1-იან-2018
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	234	46 103
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	631	999
ფული სალაროში	569	1 337
სულ	1 434	48 440

ფულისა და ფულის ექვივალენტების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის მატერიალური სხვაობა არ არის.

შპს „გდ ჯგუფი“-ს
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია ვადაგადაცილებულ მოთხოვნებზე შესაქმნელი ანარიცხების შესახებ 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრისთვის:

	31-დეკ-2018	1-იან-2018
სავაჭრო მოთხოვნები	1 502 539	1 178 658
სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი	(702 457)	(319 349)
გადახდილი ავანსები	31 076	825
სულ	831 158	860 133
სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი		
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		-
ხავაჭრო მოთხოვნების რეზერვის ხარჯი		(319 349)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		(319 349)
ხავაჭრო მოთხოვნების რეზერვის ხარჯი		(383 108)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		(702 457)

კომპანიამ ქმნის დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახული რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკის შესაბამისად:

ვადაგადაცილების დღეები	30 დღეზე ნაკლები	31 – 60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	180 დღეზე მეტი
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%

5 მოთხოვნები ბიუჯეტიდან და საგადასახადო ვალდებულებები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო დავალიანებებმა შეადგინა 6,452 ლარი, და გადახდილი იქნა საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ ვადაში.

ხოლო 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საგადასახადო აქტივმა შეადგინა 1,822 ლარი რომლებიც წარმოადგენს წინასწარ გადახდილ გადასახადებს და კომპანიას აქვს აღნიშნული თანხის ჩათვლის უფლება.

6 მარაგები

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია მარაგის შესახებ 2018 წლის 31 დეკემბრისა, 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრისთვის:

	31-დეკ-2018	1-იან-2018
საქონელი	6 876	289
დამხმარე მასალები	5 117	187
სულ	11 993	475

შპს „გდ ჯგუფი“-ს
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

7 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ცვლილებები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს:

	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
თვითღირებულება 2018 წ. 1 იანვარს	75 894	69 882	45 350	191 127
დამატება		4 757		4 757
გასხვისება	(12 279)			(12 279)
თვითღირებულება 2018 წ. 31 დეკემბერს	63 615	74 640	45 350	183 605
დაგროვილი ცვეთა თვითღირებულება 2018 წ. 1 იანვარს	38 020	51 441	20 568	110 029
წლის ხარჯი	12 955	4 314	9 070	26 339
გაყიდული ქონების ცვეთა	(12 279)			(12 279)
დაგროვილი ცვეთა თვითღირებულება 2018 წ. 31 დეკემბერს	38 696	55 755	29 638	124 089
წმინდა საბალანსო ღირებულებები 2018 წ. 1 იანვარს	37 875	18 442	24 782	81 098
წმინდა საბალანსო ღირებულებები 2018 წ. 31 დეკემბერს	24 919	18 885	15 712	59 516

მომსახურების თვითღირებულებას მიკუთვნებული ძირითადი საშუალებების ამორტიზაცია

	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
თვითღირებულება 2018 წ. 1 იანვარს	75 894	25 482	-	101 377
დამატება		3 838		3 838
გასხვისება	(12 279)			(12 279)
თვითღირებულება 2018 წ. 31 დეკემბერს	63 615	29 321	-	92 936
დაგროვილი ცვეთა თვითღირებულება 2018 წ. 1 იანვარს	38 020	7 771	-	45 791
წლის ხარჯი	12 955	3 536		16 491
გაყიდული ქონების ცვეთა	(12 279)			(12 279)
დაგროვილი ცვეთა თვითღირებულება 2018 წ. 31 დეკემბერს	38 696	11 307	-	50 003

შპს „გდ ჯგუფი“-ს
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯებს მიკუთვნებული ძირითადი საშუალებების ამორტიზაცია

	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
თვითღირებულება 2018 წ. 1 იანვარს	-	44 400	45 350	89 750
დამატება		919		919
გასხვისება				
თვითღირებულება 2018 წ. 31 დეკემბერს	-	45 319	45 350	90 669
დაგროვილი ცვეთა თვითღირებულება 2018 წ. 1 იანვარს		43 670	20 568	64 238
წლის ხარჯი		778	9 070	9 848
გაყიდული ქონების ცვეთა				
დაგროვილი ცვეთა თვითღირებულება 2018 წ. 31 დეკემბერს	-	44 448	29 638	74 086

8 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების ცვლილებები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს:

	ლიცენზიები და სხვა	სულ
თვითღირებულება 2018 წ. 1 იანვარს	65 590	65 590
დამატება		-
თვითღირებულება 2018 წ. 31 დეკემბერს	65 590	65 590
ამორტიზირებული ღირებულება 2018 წ. 1 იანვარს	64 873	64 873
წლის ხარჯი	200	200
ამორტიზირებული ღირებულება 2018 წ. 31 დეკემბერს	65 073	65 073
წმინდა საბალანსო ღირებულებები 2018 წ. 1 იანვარს	717	717
წმინდა საბალანსო ღირებულებები 2018 წ. 31 დეკემბერს	517	517

9 სხვა აქტივები

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია სხვა აქტივების შესახებ 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრისთვის:

	31-დეკ-2018	1-იან-2017
წინასწარ გაწეული ხარჯები	9 056	23 754
სულ	9 056	23 754

კომპანიის მიერ წინასწარ გაწეული ხარჯები მოიცავს საპასუხმგებლო შენახვაზე მიბარებული ქონების დაზღვევისა, საბაჟო საწყობის ნებართვით მოთხოვნილი საბანკო გარანტიის (ფინანსური რისკების დაზღვევის) და სხვა წინასწარ გადახდილ ხარჯებს 9,056 ლარს (2018 წლის 1 იანვარს: 23,754 ლარი), რომელიც აღიარდება პროპორციულად პერიოდების შესაბამისად.

10 საწესდებო კაპიტალი

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალი შეადგენს 50,000 ლარს. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შპს არევაკო ინვესტმენტ ლიმიტედი (100%), რომელიც მდებარეობს კვიპროსში.

11 მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა, საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები კორპორაციული მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ, (ცნობილი, როგორც კორპორატიული საგადასახადო სისტემის ესტონური მოდელი), რომლის მიხედვითაც, დაბეგვრის მომენტი არის შემოსავლის მიღებიდან მის განაწილებამდე. კანონი ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრის საგადასახადო პერიოდიდან. იმის გათვალისწინებით, რომ ცვლილებები საგადასახადო კოდექსში ძალაში შევიდა საანგარიშგებო თარიღამდე, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებების აღიარება არ მომხდარა. იმის გათვალისწინებით, რომ ცვლილებები საგადასახადო კოდექსში ძალაში შევიდა საანგარიშგებო თარიღამდე, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებების აღიარება არ მომხდარა. პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება რომელიც შემოსავლის განაწილების შედეგად წარმოიქმნება, არ იქნება აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში. გამომდინარე იქედან რომ საანგარიშგებო პერიოდში კომპანია პირველად წერს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს მენეჯმენტის გადაწყვეტილებით მოხდა საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის 35-ე განყოფილების „მსს ფასს-ზე გადასვლა“ თანახმად გათვალისწინებული გამოწვევების გამოყენებისა, რომელიც კომპანიას საშუალებას აძლევს არ მოახდინოს პირობითი გადასახადის რეტროსპექტიული გაანგარიშება.

12 მოკლევადიანი სესხები

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია გაცემული მოკლევადიანი სესხების შესახებ 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრისთვის:

	31-დეკ-2018	1-იან-2017
მოკლევადიანი სესხები	227 471	-
სულ	227 471	-

შპს „გდ ჯგუფი“-ს
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

მოკლევადიანი სესხები (გაგრძელება)

მსესხებელი	შპს გდ ფროფერტი
სესხის დაწყების თარიღი	12 ნოემბერი 2018
სესხის დასრულების თარიღი	31 დეკემბერი 2019
ძირის გადახდის პირობა	მოთხოვნისას
პროცენტის გადახდის პირობა	მოთხოვნისას
სესხის საპროცენტო განაკვეთი	11.05%
ვალუტა	ლარი
ძირითადი თანხა	226 000
მისაღები პროცენტი	1 471
სულ	227 471

13 სავაჭრო ვალდებულებები

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია სავაჭრო ვალდებულებების შესახებ 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრისთვის:

	31-დეკ-2018	01-იან-2018
სავაჭრო ვალდებულებები	88 627	502 508
მიღებული ავანსები	233 620	-
სულ	322 247	502 508

14 ამონაგები

2018 წლის 31 დეკემბერს და 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში კომპანიის ამონაგები მოიცავდა ალკოჰოლური სასმელის გაყიდვიდან და გაწეული მომსახურებიდან მიღებულ ამონაგებს

	2018 წელი
საქონლის რეალიზაცია საქართველოში	310 484
საქონლის რეალიზაცია საზღვარგარეთ	834 203
მომსახურების გაწევა	1 097 399
სულ	2 242 086

15 რეალიზებული საქონლის და გაწეული მომსახურების თვითღირებულება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს კომპანიის მთლიანი რეალიზებული საქონლის და გაწეული მომსახურების თვითღირებულება მოიცავდა გაყიდული ალკოჰოლური სასმელის და საბაჟო საწყოში ტვირთის მიბარება-გაცემა და შენახვის მომსახურების თვითღირებულებას.

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2018 წელი
საქონლის რეალიზაცია საქართველოში	272 817
საქონლის რეალიზაცია საზღვარგარეთ	607 977
სულ	880 795

შპს „გდ ჯგუფი“-ს
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

რეალიზებული საქონლის და გაწეული მომსახურების თვითღირებულება (გაგრძელება)

გაწეული მომსახურების თვითღირებულება

	2018 წელი
პირდაპირი ხელფასი	118 375
სოციალური დანარიცხები პირდაპირ ხელფასზე	-
დამხმარე მასალების დანახარჯები / შეძენა	11 911
საიჯარო ქირა	331 722
კომუნიკაციის ხარჯები	16 336
დაზღვევა	6 676
ცვეთა და ამორტიზაცია	16 491
ხარჯი მომსახურების გაწევაზე	4 610
დაცვა	6 508
სხვა საოპერაციო ხარჯები	2 156
სულ	514 786

16 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების შესახებ 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წლებისათვის:

	2018 წელი
შრომის ანაზღაურება	29 850
სოციალური დანარიცხები	-
საიჯარო ქირა	67 718
საოფისე ინვენტარი	-
კომუნიკაციის ხარჯები	6 990
დაზღვევა	1 208
საკონსულტაციო ხარჯები	34 530
ცვეთა და ამორტიზაცია	10 048
საექვო მოთხოვნების რეზერვი	383 108
სხვა საგადასახადო ხარჯი	2 089
მივლინების ხარჯი	-
ბანკის საკომისიო ხარჯი	686
სხვა საერთო ხარჯები	11 970
სულ	548 197

17 სხვა წმინდა საოპერაციო ხარჯები

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია სხვა საოპერაციო შემოსავლების და ხარჯების შესახებ 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წლებისათვის:

	2018 წელი
სხვა საოპერაციო ხარჯი	
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	33 773
მიწოდების სხვა ხარჯები	73
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	-
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	33 846
სხვა საოპერაციო შემოსავალი	
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	2 119
საპროცენტო შემოსავლები	1 471
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი	3 589
სულ წმინდა სხვა საოპერაციო ხარჯები	30 256

18 სხვა წმინდა არასაოპერაციო ხარჯები

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია სხვა არასაოპერაციო შემოსავლების და ხარჯების შესახებ 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წლებისათვის:

	2018 წელი
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	-
სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	4 584
სულ სხვა არასაოპერაციო ხარჯი	4 584
სხვა წმინდა არასაოპერაციო ხარჯები	4 584

19 კურსთაშორის სხვაობა

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია კურსთაშორის სხვაობით მიღებული შემოსავლის შესახებ 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წლებისათვის:

	2018 წელი
კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება	55 729
ფული და ფულის ექვივალენტები	21 216
მოთხოვნები	29 153
ვალდებულებები	5 360
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	(51 758)
ფული და ფულის ექვივალენტები	(11 388)
მოთხოვნები	(25 686)
ვალდებულებები	(14 684)
სულ	3 971

20 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და დასაფარი ნაშთები

დაკავშირებული მხარეები მოიცავენ კომპანიის მესაკუთრის და ძირითად ხელმძღვანელ პირებს. ოპერაციები დაკავშირებულ პირებთან წარმოაგენენ კომპანიის მესაკუთრის და ძირითადი ხელმძღვანელი პირების კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოებთან შესრულებული ოპერაციები.

თითოეულ დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას ყურადღება გამახვილებულია ურთიერთობის არსზე და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმაზე. კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგი ნაშთები და ოპერაციები ჰქონდა:

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და დასაფარი ნაშთები

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და დასაფარი ნაშთები	2018 წელი
სავაჭრო მოთხოვნები	690 437
სავაჭრო ვალდებულებები	6 660
გაცემული სესხი	227 471
ამონაგები (გაწეული მომსახურება)	961 641
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულების ხვედრითი წილი	451 103
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	391 922
სხვა საოპერაციო შემოსავალი	1 471
მარაგის შეძენა	165 481

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება:

ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება

	2018 წელი
ხელფასები და დანამატები	20 250

21 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

22 ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დირექტორთა საბჭომ გამოსაცემად დაამტკიცა 2019 წლის 25 სექტემბერს.